საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი №1/2-2007 „8" იანვარი 2007წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის დანამატის დაწესების შესახებ

I. „მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 25 იანვრის №78 ბრძანებულების „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, თანამდებობრივ სარგოზე ყოველთვიური დანამატი დაუწესდეთ:

1. საქართველოს საერთო სასამართლოების შემდეგ მოსამართლეებს:

ა) თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს – 650 ლარი;

ბ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს – 700 ლარი;

გ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს პალატის თავმჯდომარეს – 900 ლარი;

დ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარეს – 800 ლარი;

ე) თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს – 350 ლარი;

ვ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს – 400 ლარი;

ზ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს – 500 ლარი;

თ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს პალატის თავმჯდომარეს – 700 ლარი;

ი) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარეს – 600 ლარი;

კ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს – 150 ლარი;

ლ) თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს – 1100 ლარი;

მ) თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარეს – 900 ლარი;

ნ) თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს – 250 ლარი;

ო) გაერთიანებული რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს - 1100 ლარი.

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრ მოსამართლეებს საბჭოს წევრის უფლებამოსილების ეფექტურად განხორციელებისათვის – 550 ლარი.

II. „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის საფუძველზე სხვა სასამართლოში მივლინებულ მოსამართლეს ეძლევა დანამატი შესაბამისი სასამართლოს მოსამართლისათვის დადგენილი დანამატის ოდენობით.

III. საერთო სასამართლოების დეპარტამენტს დაევალოს ამ გადაწყვეტილებით დადგენილი დანამატების გაცემის უზრუნველყოფა.

IV. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის დანამატის დაწესების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2006 წლის 27 იანვრის №1/04-2006 და „თბილისის საქალაქო სასამართლოში მივლინებული მოსამართლეებისათვის დანამატის დაწესების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2006 წლის 22 თებერვლის №1/20-2006 გადაწყვეტილებები.

V. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი